WFD

UKaid from the British people

ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის:

# კლიმატის ცვლილება და სოციალური უთანასწორობა

## კლიმატის ცვლილება ფაქტია.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების შედეგებს ვერავინ გაექცევა, ის განსაკუთრებით მძიმედ ზემოქმედებს ყველაზე მოწყვლად ადამიანებსა და სისტემებზე.[1] კლიმატის ცვლილება მოიცავს რამდენიმე ფაქტორის კომპლექსურ ურთიერთქმედებას - ისეთი ფაქტორებისას, როგორიცაა უთანასწორობა, რესურსების გადანაწილება, სოციალური ნორმები, არათანაბარი ძალაუფლებრივი მიმართებები და დემოგრაფიული მდგომარეობა.[2]

კლიმატის ცვლილების შედეგები კომპლექსურ სოციალურ ლანდშაფტში ვრცელდება, სადაც სხვადასხვა ადამიანებს არათანაბრად მიუწვდებათ ხელი რესურსებზე. ეს უნარისა და შესაძლებლობების კუთხით არსებულ არაერთგვაროვნებას ქმნის, როგორც გლობალურად, ისე რეგიონებსა და ქვეყნებში.[3] ამასთან, განსხვავდება პასუხისმგებლობაც კლიმატის ცვლილების გამოწვევაზე - ქვეყნებშიც, და ქვეყნებს შორისაც.

## რისი გაშუქება შეუძლია მედიას?

„კლიმატის ცვლილება მხოლოდ ერთი ამბავი არ არის; ის არის კონტექსტი, რომელშიც უამრავი სხვა ამბავი განვითარდება... **კლიმატის ცვლილების გაშუქება რამდენიმე განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს: ადგილობრივად მას შეუძლია სიცოცხლეების გადარჩენა, გეგმების დასახვა, პოლიტიკის შეცვლა და, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარებით, ადამიანების გაძლიერება,"**[4] ვკითხულობთ იუნესკოს სახელმძღვანელოში ჟურნალისტებისთვის. ამასთან, ის, რასაც მომავალი ათი წლის მანძილზე მოვიმოქმედებთ, განაპირობებს იმას, თუ რამდენად კლიმატის მიმართ მედეგ განვითარებას მოგვიტანს საშუალო და გრძელვადიანი მომავალი.

გაშუქება, რომელიც კლიმატის ცვლილების მიზეზებს და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონზე მის ზემოქმედებას ეხება, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ასეთ გაშუქებას შეუძლია აუდიტორიას აუხსნას როგორ იმოქმედებს კლიმატის ცვლილება განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებსა და ეკოსისტემებზე საქართველოში, რას შეცვლის ცვალებადი კლიმატი ყოველდღიურ ცხოვრებაში, და რას ნიშნავს კლიმატის ცვლილება ქართული საზოგადოებისთვის საკვანძო რესურსებისთვის.

---

[1] IPCC, 2022: Summary for Policymakers. Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability. Contribution of Working Group II to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change pp. 3–33, doi:10.1017/9781009325844.001.

[2] Michael, Kavya, 2015 Class Inequality and Climate Change Resilience: Exploring the Nexus in Liberalised India, doi - 10.2139/ssrn.2572619

[3] Hamann, 2018 Annual Review of Environment and Resources Volume 43, pp 61-83

[4] Getting the Message Across Reporting on Climate Change and Sustainable Development in Asia and the Pacific: A Handbook for Journalists+

## რა აკლია კლიმატის ცვლილების გაშუქებას საქართველოში?

- **კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები საქართველოსთვის:** ამბები, რომლებიც კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს ახსნიან და აუდიტორიას მოუყვებიან მის შედეგებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონისთვის, ისევე როგორც მის ზემოქმედებას მოქალაქეებისა და ჰაბიტატების ცხოვრებაში.
- **კლიმატის ცვლილების განსხვავებული ასპექტების გაშუქება.** როგორ ზემოქმედებს კლიმატის ცვლილება სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებზე, ქალებზე, ქვიარ თემზე, მოხუცებზე, ბავშვებზე, ეთნიკურ უმცირესობებზე, იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ეკომიგრანტებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე აისახება თუ არა სახელმწიფო პოლიტიკასა და ადაპტაციის გეგმაში მათი საჭიროებები და მოწყვლადობა? მონაწილეობენ თუ არა ეს ჯგუფები კლიმატის ცვლილების შერბილების სტრატეგიის შემუშავებაში?
- **კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური პოლიტიკის საქართველოს მიერ აღსრულების გაშუქება.** ადაპტაციის ეროვნული პოლიტიკისა და გეგმის შემუშავების მონიტორინგი.
- როგორ უკავშირდება კლიმატის ცვლილება საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის **პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ არასტაბილურობას?**
- **გლობალურად მნიშვნელოვანი ადგილობრივი ამბების გაშუქება**: ასეთი შეიძლება იყოს ახალი კვლევის მიგნებები, პოლიტიკის ცვლილება, ან უჩვეულო მეტეოროლოგიური მოვლენები, რომელთა გაშუქებითაც მედიას შეუძლია ერთი შეხედვით შორეული, გლობალური პრობლემები ადგილობრივ საკითხებს დაუკავშიროს.

## რას ვგულისხმობთ, როცა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ უთანასწორობებზე ვსაუბრობთ?

კლიმატი განაპირობებს უთანასწორობას. კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის ანგარიში დამაჯერებელი მტკიცებულებებით ადასტურებს, რომ კლიმატის ცვლილება განსხვავებულად ზემოქმე-დებს ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე.

კლიმატის ცვლილებამ უკვე გააღრმავა გლობალური ეკონომიკური უთანასწორობა. კლიმატის ცვლილება რომ არ არსებობდეს, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი ქვეყნები 25 პროცენტით უფრო თანასწორნი იქნებოდნენ ეკონომიკური წარმოების კუთხით, ვიდრე დღეს არიან.[5] **კლიმატის ცვლილების უარყოფით ზეგავლენას ყველაზე მწვავედ განვითარებადი ქვეყნები განიცდიან.[6]** ერთი მხრივ, მათ აქვთ ბუნებრივად უფრო თბილი კლიმატი, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს; მეორე მხრივ, განვითარებადი ქვეყნები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი კლიმატის მიმართ მგრძნობიარე სექტორებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და ტურიზმი.[7] ამასთან, მათ არ აქვთ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები და ინსტიტუციური უნარები.[8] კლიმატის ცვლი-ლების შესახებ არსებული ცოდნის, ინფორმაციისა და მონაცემების ნაკლებობა გეგმების შემუშავებასა და შესრულებას კიდევ უფრო ართულებს.[9]

უფრო მრავალმხრივი, სპეციფიური და კომპლექსურია კავშირი კლიმატის ცვლილებასა და ქვეყნებს შიგნით არსებულ უთანასწორობას შორის. ყველაზე ღარიბი და ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფები

---

[5] Noah S. Diffenbaugha,b,1 and Marshall Burkea,c,d. Department of Earth System Science, Stanford University

[6] Poverty and climate change: reducing the vulnerability of the poor through adaptation (English). Washington, D.C.: World Bank Group.

[7] K. Wade, M. Jennings Climate change & the global economy: Regional effects https://www.schroders.com/de/bm/asset-management/insights/economic-views/climate-change--the-global-economy-regional-effects/

[8] K.Georgieva, V. Gaspar, C. Pazarbasioglu Poor and Vulnerable Countries Need Support to Adapt to Climate Change, https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2022/03/23/blog032322-poor-and-vulnerable-countris-need-support-to-adapt-to-climate-change

[9] IPCC, 2022: Summary for Policymakers. Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability. Contribution of Working Group II to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change pp. 3–33, doi:10.1017/9781009325844.001

ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ.[10] საწყისი უთანასწორობა კლიმატის ცვლილების შედეგების უარყოფით ზეგავლენას ამწვავებს, რაც უთანასწორობას კიდევ უფრო მეტად ზრდის.[11] იმას, რომ სხვადასხვა ჯგუფები ერთსა და იმავე ფიზიკურ ცვლილებას განსხვავებულად განიცდიან, მეტწილად არა ფიზიკური, არამედ სოციალური ფაქტორები განაპირობებს.[12] ამასთან, უახლესი კვლევების მიხედვით, კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების კუთხით არსებული უთანასწორობა - ემისიების რაოდენობა ერთ ადამიანზე - ქვეყნებს შიგნით უფრო მეტად განსხვავდება, ვიდრე ქვეყნებს შორის.[13]

## კლიმატის ცვლილება არაპროპორციულად ზემოქმედებს ღარიბ ჯგუფებზე

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიხედვით, უმართავი კლიმატის ცვლილება გლობალური ეკონომიკის ზრდას უშლის ხელს, რადგან „ის აზიანებს სიღარიბის აღმოფხვრისკენ მიმართულ ძალისხმევას და არაპროპორციულად ზემოქმედებს მსოფლიოს უღარიბეს რეგიონებსა და ადამიანებ-ზე." კლიმატის ცვლილება წარმოქმნის მზარდი სიღარიბისა და მოწყვლადობის ჩაკეტილ წრეს, რაც უთანასწორობას და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფთა მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს.[14]

**ღარიბი ადამიანი უფრო მიდრეკილნი არიან კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის განცდისკენ.** ეს იმიტომ ხდება, რომ მათ, ერთი მხრივ, ნაკლები რესურსი აქვთ იმისთვის, რომ ბუნებრივ კატასტროფებს გაუმკლავდნენ და ნაკლებად დაზღვეულნი არიან მსგავსი მოვლენებისგან; მეორე მხრივ, ღარიბი ჯგუფები უფრო მეტად ცხოვრობენ ისეთ ადგილებში, რომლებსაც კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა შეეხება და, ამავდროულად, მათ ნაკლებად აქვთ ალტერნატიული საცხოვრისის მოძიების საშუალება.[15] ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი კლიმატის მიმართ მგრძნობიარე სექტორებზე. ამასთან, მზარდი ტემპერატურა ამწვავებს წყლისა და საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ უთანასწორობას.[16]

„ევროკავშირი კლიმატისთვის" (EU4Climate) მიხედვით, **საქართველო ძალიან მოწყვლადია კლიმა-ტის ცვლილების მიმართ.** მის წინაშე არსებულ საფრთხეებს შორის გვალვის, წყალდიდობის და მეწყრის მზარდი სიხშირე და ინტენსიურობაა.

საქართველოში, მისი ადგილმდებარეობის, ლანდშაფტის, ჰიდროლოგიური ქსელის და ბუნებრივი პირობების გამო, გვხვდება არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ ანთროპოგენური კატასტროფების საფრთხეც (სატრანსპორტო და ინდუსტრიული ინციდენტები). ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ანთროპოგენური წნეხი ნოყიერ ნიადაგს ქმნის კატასტროფების გამოწვევისთვის. [17]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის საკვანძო სექტორთან, სოფლის მეურნეობას-თან დაკავშირებული საფრთხეები.[18] სოფლად მცხოვრები საქართველოს მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმთავრესი წყაროა.

საქართველოს კლიმატური რისკის პროფილი ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილების არაპროპორციულ ზეგავლენას ყველაზე ღარიბ ჯგუფებზე საქართველოში. სავარაუდოა, რომ კლიმატის ცვლილება იმოქმედებს ცხოვრების დონის კუთხით არსებულ განსხვავებებზე რეგიონებს შორის. უფრო ღარიბ ფერმერებსა და თემებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი წყალსაცავებზე, საირიგაციო ინფრასტრუქტურაზე და ადაპტაციის ტექნოლოგიებზე.[19]

---

[10] Getting the Message Across Reporting on Climate Change and Sustainable Development in Asia and the Pacific: A Handbook for Journalists

[11] S. Nazrul Islam & John Winkel, 2017. "Climate Change and Social Inequality," Working Papers 152, United Nations, Department of Economics and Social Affairs

[12] Thomas K, Hardy RD, Lazrus H, Mendez M, Orlove B, Rivera-Collazo I, Roberts JT, Rockman M, Warner BP, Winthrop R. Explaining differential vulnerability to climate change: A social science review. Wiley Interdiscip Rev Clim Change. 2019 Mar-Apr; 10(2):e565. doi: 10.1002/wcc.565.

[13] Chancel, L., Bothe, P., Voituriez, T. (2023) Climate Inequality Report 2023, World Inequality Lab Study 2023/1

[14] S. Nazrul Islam & John Winkel, 2017. "Climate Change and Social Inequality," Working Papers 152, United Nations, Department of Economics and Social Affairs.

[15] Leichenko, Robin & Silva, Julie. (2014). Climate change and poverty: Vulnerability, impacts, and alleviation strategies. Wiley Interdisciplinary Reviews: Climate Change. 5. 10.1002/wcc.287.

[16] Taconet, N., Méjean, A. & Guivarch, C. Influence of climate change impacts and mitigation costs on inequality between countries. Climatic Change 160, 15–34 (2020). https://doi.org/10.1007/s10584-019-02637-w

[17] Reducing the Risk of Climate-driven Disasters in Georgia,2020
https://www.undp.org/georgia/publications/reducing-risk-climate-driven-disasters-georgia

[18] EU4Climate GEORGIA 2022 https://eu4climate.eu/wp-content/uploads/2022/07/2_EU4Climate-GEORGIA_2022_updated.pdf

[19] Climate Risk Country Profile: Georgia (2021): The World Bank Group and the Asian Development Bank.

## „კლიმატის კრიზისი გენდერულად ნეიტრალური არ არის“

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) დასკვნების მიხედვით, კლიმატის ცვლილება „გენდერულად ნეიტრალური არ არის.“ ქალები და გოგოები უფრო მეტად განიცდიან კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებას, რაც არსებულ გენდერულ უთანასწორობებს აღრმავებს და მათი ცხოვრების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის ახალ საფრთხეებს ქმნის.20

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ქალები მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და ისინი უფრო მეტად არიან დამოკიდებული იმ ბუნებრივ რესურსებზე, რომლებსაც კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის. ამასთან, ისინი აწყდებიან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბარიერებს, რაც მათ გამკლავების უნარს ამცირებს. რესურსებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არათანაბარი წვდომის გამო, კლიმატის ცვლილება არაპროპორციულად ზემოქმედებს სოფლად მცხოვრებ ქალებზე.21 რაც შეეხება ჯანმრთელობას, გარემოსდაცვითი საფრთხეები მძიმე დაავადებით ავადმყოფობის რისკს ზრდის, რაც ქალთა ზრუნვის შრომას ზრდის. 22

კვლევა „გენდერული თანასწორობა და გარემოსდაცვითი სამართლიანობა“, აღწერს განსხვავებულ მიზეზებს, რომლებიც ქალებს საქართველოში უფრო მოწყვლადს ხდიან გარემოს დაბინძურების და კლიმატის ცვლილების მიმართ. მათ შორისაა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის ნაკლებობა, მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული საკითხები და ინფრასტრუქტურის ნაკლებობით გამოწვეული შეზღუდული წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე, განსაკუთრებით საქართველოს ღარიბ პერიფერიებში.23

იმ ჯგუფების ხმის გაჟღერებით, ვინც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილების ზეგავლენის მიმართ, კარგ ჟურნალისტიკას შეუძლია აამაღლოს ცნობიერება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული უთანასწორობების შესახებ და შეცვალოს გავრცელებული წარმოდგენა, რომ კლიმატის ცვლილება ყველაზე თანაბრად ზემოქმედებს. ამასთან, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული უთანასწორობების აღმოფხვრის გზების გაშუქებით, მედიას შეუძლია შთააგონოს ქმედითი ნაბიჯები და დაეხმაროს კლიმატის ცვლილების შერბილებას.

---

[20] Explainer: How gender inequality and climate change are interconnected https://bit.ly/3WTtkc6

[21] UN WomenWatch: www.un.org/womenwatch, Women, Gender Equality and Climate Change accessible at: https://bit.ly/2GaExjS

[22] ibid

[23] N.Tabidze, M.Kochladze, 2021, "Gender Equality and Environmental Justice", Women's Fund in Georgia